ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ენდოკრინოლოგია

2

ი. ასლანიშვილი
ენდოკრინოლოგიური სადგურის დირექტორი

აჭარისტანის კურორტები ჩიყვთან ბრძოლაში

F 5-892/4
P 7.11.1935

СОВЕТСКАЯ ЭНДОКРИНОЛОГИЯ
2
И. Асланишвили
Курорты Аджаристана в борьбе с зобом

1935 г.

ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის ენდოკრინოლოგიური სადგური
1935

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების

ენდოკრინოლოგიურ სადგურთან

1935 წლის ივნისიდან სისტემატიურად და დროგამოშვებით გამოდის

საბჭოთა ენდოკრინოლოგია

რომელიც გააშუქებს ყოველგვარ ენდოკრინოლოგიურ საკითხებს.

„საბჭოთა ენდოკრინოლოგია“-ში უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ: პროფ. მ. ასათიანი (ტფილისი), პროფ. მ. ბრეიტმანი (ლენინგრადი), პროფ. ვ. ვარაზი (ტფილისი), პროფ. გ. ვაწაძე (ტფილისი), აკადემიკოსი მ. ზავადოვსკი (მოსკოვი), დოც. ე. ზაქარაია (ტფილისი), პროფ. ი. თიკანაძე (ტფილისი), პროფ. ვ. კოგან-იასნი (ხარკოვი), პროფ. ე. კორჩიცი (მინსკი), პროფ. პ. კუჩერენკო (კიევი), პროფ. ვ. ლევიტი (მოსკოვი), პროფ. ა. მაჭავარიანი (ტფილისი), პროფ. გ. მუხაძე (ტფილისი), პროფ. ზ. პრიხოდკოვა (ხარკოვი), პროფ. ა. სმირნოვი (მოსკოვი), აკადემიკოსი მ. ტუშნოვი (მოსკოვი), პროფ. ვ. შიპაჩოვი (ირკუცკი), პროფ. პ. შუშანია (ტფილისი), პროფ. ა. წულუკიძე (ტფილისი).

პასუხისმგებელი რედაქტორი **ი. ასლანიშვილი.**

რედაქციის მდივანი **ა. აბაშიძე.**

რედაქციის მისამართი: ტფილისი, წინანდალის 9. ქალაქის პირველი საავადმყოფო. ენდოკრინოლოგიური სადგური.

K37.943

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის გამზ. № 91. შეკვ. № 276. მთავლ. რწმ. 7268. ტირაჟი — 1000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ასლანიშვილი

აჭარისტანის კულტურტები ჩიყვთან ბრძოლაში

(მოხსენებულია აჭარისტანის ჯანსახკომის რესპუბლიკანურ საკურორტო პირველ კონფერენციაზე ქ. ბათომში 1933 წლის 19 დეკემბერს).

მხოლოდ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შესაძლებელი შეიქნა საქართველოში ჩიყვის საკითხი უფრო ნათლად დაყენებულიყო. ის გაძლიერებული ინტერესი, რომელიც გამოიწვია ჩიყვის საკითხმა, უეჭველად მხედველობაშია მისაღები. მართლაც და საქართველო თავისი ავტონომიური რესპუბლიკებით და ოლქებით, თუ კი დავეყრდნობით უკანასკნელი სამეცნიერო ექსპედიციების მასალას, განსაკუთრებულად დიდ რიცხვს იძლევა ჩიყვის გავრცელების მხრივ; ეს რიცხვი კი 60,000-ს აღემატება. ცხადია რომ საქართველოს პირობებში სავსებით გამართლებულია ის დებულება, რომელიც ღაღადებს ჩიყვის შესახებ, როგორც სოციალურ სნეულებაზე.

ის მოსაზრება, რომ ჩიყვი განსაკუთრებულად სვანეთში მძვინვარებს, შემცდარი აზრია, რადგან საქართველოს ფარგლებში იგი ყველა მის კუთხეებში თითქმის ერთგვარადაა გავრცელებული ცოტა თუ მეტი სიძლიერით. ავიღოთ ამ შემთხვევაში აჭარისტანი, სადაც დაჩიყვიანებას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, თუ გნებავთ სვანეთთან შედარებით. თუ დავეყრდენით 1927 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობას ქვემო და ზემო აჭარაში—ქედის და ხულოს მიდამოებში, აჭარისტანისთვის ჩვენ გვყავს 7,000 დაჩიყვიანებული (იხ. ი. ასლანიშვილი. ჩიყვი აჭარაში).

ცხადია რომ, როდესაც აჭარისტანისათვის გვაქვს ნავარაუდევი ასეთი დიდი რიცხვი, ისმება საკითხი, დროა თუ არა დღეს მაინც ვიზრუნოთ და შეძლებისდაგვარად გავშალოთ ბრძოლა ჩიყვის წინააღმდეგ აჭარისტანის ფარგლებში და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ სოციალურ სნეულებას, რომელიც დიად სოციალისტური მშენებლობის და სოციალისტური მეურნეობის დიდი ეტაპების ხანაში განსაკუთრებით კოლმეურნე გლეხობის შორის შრომის უნარიანობას ამცირებს და აქვეითებს.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ჩიყვის გავრცელების მხრივ თავისი მრავალრიცხოვნობით დღესღეობით უეჭველად ეჯიბრებიან ერთმანეთს სვანები და აჭარლები.

მართლაც ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მაშინ როდესაც სვანეთში მთელ მოსახლეობაზე მისი ზუსტი გამოკვლევის მიხედვით სოფელ-სოფელ ოჯახ-ოჯახ ჩვენ გვაქვს 29%, აჭარისტანში აჭარლებს შორის ხულო-ქედის მიდამოებში ეს პროცენტია 29,7; თითქმის განსხვავება არაფერია. მაშასადამე სვანეთთან ერთად აჭარასაც იგივე ადგილი უკავია, მხოლოდ მას ამ მხივ ნაკლებ იცნობენ.

ზოგიერთი ადგილების მიხედვით აჭარა უსწრებს სვანეთს; და თუ კი ჩიყვიანობის გავრცელებას მიუდგებით ადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც დასახლებული არიან სვანები და აჭარლები, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პირველ ადგილს დაჩიყვიანების მხრივ დაიჭერს ქვემო სვანეთი, მეორეს ქვემო აჭარა, მესამე ადგილს ზემო აჭარა, მეოთხეს ზემოსვანეთი და მეხუთეს აფხაზეთის სვანეთი.

უკვე ასეთი გარემოება ნათელყოფს ჩიყვიანობის გავრცელების სიძლიერეს აჭარლებსა და სვანებს შორის. პროცენტების მიხედვით ზემოხსენებული აზრი შემდეგნაირად გამოიხატება:

ქვემო სვანეთში	5972	გამოკვლეულზე	დაჩიყვიანებული იყო	2671	ანუ	44,7%,
ქვემო აჭარაში	4777	გამოკვლეულზე	დაჩიყვიანებული იყო	1508	ანუ	32,9%,
ზემო აჭარაში	3207	გამოკვლეულზე	დაჩიყვიანებული იყო	864	ანუ	25,4%,
ზემო სვანეთში	10766	გამოკვლეულზე	დაჩიყვიანებული იყო	2362	ანუ	22,1%,
აფხაზეთის სვანეთში	1856	გამოკვლეულზე	დაჩიყვიანებული იყო	363	ანუ	19,5%.

ზემოხსენებული რიცხვები აშკარა მაჩვენებელია იმისა, თუ სვანებსა და აჭარლებს შორის მათი ბინადრობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით ჩიყვიანობას როგორი მკაცრი საფუძველი აქვს და ორივე მთიელ მცხოვრებთა შორის გავრცელებული ჩიყვიანობა როგორ საშინელ პირობებს ქმნის. უნდა უეჭველად მხედველობაში მივიღოთ ჩიყვის ნიადაგზე არსებული კრეტინების საკმარისი რაოდენობაც.

როდესაც ვლაპარაკობთ ჩიყვის გავრცელების შესახებ აჭარისტანში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვენი გამოკვლევების მიხედვით მხოლოდ ხუთი თემი ქვემო აჭარისა და ზემო აჭარისა, რაც ხულოსა და ქედის მიდამოებს ეხება. ესენი არის ქვემო აჭარაში ქედის, მერისის და ცხმოროსის თემები, მხოლოდ ზემო აჭარაში ხულოსი და სხალთის თემები. ამ ზემოაღნიშნული თემებიდან გამოკვლეული გვაქვს მთლიანად 82 სოფელი ოჯახ-ოჯახ სულ 3404 კომლით. მხოლოდ იმ 82 სოფელში მცხოვრებ 21583 სულიდან გამოკვლეული გვყავს 7984 სული, რომელთა შორის დაჩიყვიანებულია 2372 სული, აქედან მამრობითი 913, დედრობითი სქესის 1459. მხოლოდ მათ შორის თუ გამოვყავით ბავშები, უკანასკნელთ შორის დაჩიყვიანებულია 561. ამრიგად დაჩიყვიანებულია მამაკაცი 616, ქალი 1195, ბიჭი 296, გოგონა 265. ცალცალკე თემების მიხედვით კი ზემოხსენებული შემდეგში გამოიხატება:

თ ე მ ი	მამაკაცი	ქალი	ბიჭი	გოგონა	მამრობ.	დედრობ.	სულ	%%
ქედის	187	416	68	64	255	480	735	29,8
მერისის	82	177	28	24	110	201	311	38,3
ცხმორისის . .	117	220	61	64	178	284	462	30,6
ხულოს	55	112	26	35	81	147	228	20,5
სხალთის . . .	176	270	113	77	289	347	636	30,3
5	617	1195	296	264	913	1459	2372	29,7

ამრიგად ზემოთმოყვანილი რიცხვები ნათელი მაჩვენებელია იმის, რომ ჩიყვთან ბრძოლას აჭარისტანში როგორი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აღნიშნული რიცხვების მიხედვით უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ზემო აჭარიდან გამოუკვლეველი დაგვრჩა კიდევ ხუთი თემი — ღორჯომის, რიყეთის, ყარადერეს, ურჩამფასი და ქვანასი. ამასთანავე აღსანიშნავია უეჭველად ის მდგომარეობაც, რომ ექსპედიციას სრულიად გამოუკვლეველი დარჩა აჭარის წყალის, ბათომისა და ქობულეთის მიდამოები, თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მომავალში მათი შესწავლაც. ეს გამოუკვლეველი მიდამოები როგორც ზღვასთან უფრო ახლო მდებარენი ალბად ქვემო და ზემო აჭარის მიდამოებთან, რომელნიც აჭარის ქედს იქით მდებარეობენ და ზღვის ნაპირებსაც დაცილებული არიან, შედარებით ნაკლებ დაჩიყვიანებას მოგვცემენ, იმისათვის, რომ ზღვისპირა მიდამოებში უნდა ვიგულისხმოთ იოდით გაჟღენთილი ჰაერი, რომელიც საერთოდ ჩიყვის გავრცელებას ანელებს. ყოველშემთხვევაში ეს ჩვენი მოსაზრებაა და ალბად ახლო მომავალში ეს აზრი დაგვიდასტურდება, თუ კი ამ გამოუკვლეველ მიდამოებსაც შევისწავლით უკვე არსებულ საექსპედიციო მოგზაურობით სათანადო კვლევა-ძიების წარმოებით.

ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით ჩვენ შვგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ არსებული მასალების მიხედვით, რაც უეჭველად საკმარის საბაბს გვაძლევს ვსთქვათ რომ ჩიყვთან ბრძოლის საკითხი აჭარისტანში დროულია და ეს საკითხი აჭარისტანში აუცილებლად უნდა დაუკავშიროთ მის კურორტებს. კურორტები ჩიყვთან ბრძოლაში — შეიძლება ეს ახალი საკითხი იყოს, მაგრამ ამ მიდგომით საკითხის დაყენება ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწორედ აჭარისტანის კურორტების მომართ, რომელნიც ზღვის პირად გადაშლილია და მათი მიდამოები განსაკუთრებით ჩიყვის საწინააღმდეგოთ გამოსაყენებელი ჰაერითაა გაჟღენთილი. ამის მიხედვით რასაკვირველია აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტები უნდა გამოყენებული იქნეს პროფილაქტიური მიზნით ჩიყვის საწინააღმდეგოთ. ამ მხრივ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა პირველ რიგში აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და აჭარისტანის საკურორტო სამმართველომ გაშალონ მუშაობა და ჩიყვთან ბრძოლის საკითხს სათანადო ყურადღება მიაქციონ. აჭარისტანშიც ისე, როგორც ეს უკვე ხორციელდება ზემო სვანეთში, ჩიყვთან ბრძოლაში უნდა ჩაებას მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობაც.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სანამ გადავიდოდეთ აჭარისტანისათვის სათანადო ზომების მითითებებზე, მოკლედ შევეხოთ, თუ რა განსხვავებითი მუშაობის ჩატარებას მოითხოვს ზემოსვანეთი შედარებით აჭარისტანის პირობებთან.

შედარებით ზემოსვანეთთან, სადაც საკითხი დაყენებულია მინერალური წყლების გამოყენების მიხედვით წყალსადენების საშვალებით, მათი გადაყვანით უჩიყო ადგილებიდან ჩიყვიან ადგილებში, აჭარისტანში ამ მხრივ ვერ მიუდგებით საკითხს, რადგან აჭარისტანში მინერალური წყაროები მარილ რკინა-იოდის შემადგენლობით, რომელიც ჩიყვის საწინააღმდეგოთაა გამოსაყენებელი, შედარებით ნაკლებ მოიპოვება, თუმცა საერთოდ მინერალური წყაროები არის უფრო სხვა შემადგენლობით (კუპრისი).

ზემოსვანეთში 40 — 50 კილომეტრის მანძილზე მოიპოვება 150-ამდე მინერალური წყაროები, უმთავრესად მარილ რკინა-იოდის შენაერთით, რაც თავის თავად ჩიყვის საწინააღმდეგოდაა გამოსაყენებელი. ზემოსვანეთის ადგილმდებარეობა გვაძლევს საშვალებას იქ არსებული

მინერალური წყლები სავსებით გამოვიყენოთ ჩიყვის საწინააღმდეგოთ. ჩვენ განვიზრახეთ და კიდეც შეუდექით მის პრაქტიკულ განხორციელებას, რათა იმ სოფლებიდან და მიდამოებიდან, სადაც მოსახლეობას სასმელად აქვს სწორედ ასეთი მინერალური წყაროს წყალი და სადაც ჩიყვიანები სრულიად არ მოიპოვებიან, ეს მინერალური წყლები მივეცით აგრეთვე მეზობელ დაჩვიანებულ სოფელს.

როდესაც ჩვენ ასეთი აზრის განხორციელება განვიზრახეთ სწორედ რომ ზემოსვანეთის მიდამოებში, იქ, სადაც მდინარე ენგურის ვიწრო ხეობა მკაცრი მთიანი ბუნების მიხედვით კავკასიონისა და სვანეთის ქედის შორის მომწყვდეულია, ჩვენ მხედველობაში გვქონდა უეჭველად მისი ადგილმდებარეობა, სადაც სოფლები ერთი მეორესაგან ძლიერ მცირე მანძილით არიან დაცილებული; ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იქ არსებული მინერალური წყლების მიხედვით ჩიყვიანი სოფლები უჩიყვო სოფლების მახლობლად მდებარეობენ დაახლოებით $^1/_2$—1—2 კილომეტრის მანძილზე.

მაშასადამე მინერალური წყლების გადაყვანას უჩიყვო ადგილებიდან ჩიყვიან ადგილებში უეჭველად, ასე გვგონია ჩვენ, უნდა მოყვეს ჩიყვის შემცირება და თანდათანობით მისი გაქრობა და მოსპობა; არსებული ჩიყვის გაქრობასთან ახალი ჩიყვიც არ უნდა გაჩნდეს და ამის მიხედვით არ უნდა გაჩნდეს კრეტინიზმიც.

ყოველივე ზემოხსენებული მოსაზრებათა მიხედვით მინერალური წყლის გადაყვანა უჩიყვო ადგილებიდან ჩიყვიან ადგილებში ჩვენ ვცადეთ ხის მილების საშვალებით, რომელიც ადგილობრივი ხე-ტყის მასალიდან იქნა დამზადებული და ეს ხის მილები ჩაწყობილი იქნა მიწაში საგანგებოდ გაყვანილ არხში ერთი მეტრის სიღრმით. თვით ხე-ტყის მასალა გამოყენებული იყო სოჭის, ფიჭვის და ნაძვისაგან, მხოლოდ მათი გამძლეობის შესახებ ლაპარაკობს თვით ხის შემადგენელი ფისოვანი ნივთიერება და შემდეგ მისი გაჟღენთვა მინერალური წყლის შემადგენელი ნივთიერებიდან, რომელიც შესდგება რკინა-იოდ ნარევ მარილებისაგან. ზემოსვანეთში მინერალურ წყაროებში ჩადგმული ხის კოდები, რომელნიც სრულიად დაუზიანებლივ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში შენახული არიან, ამას გვიმტკიცებენ.

ზემოსვანეთში 1933 წლის შემოდგომით ბეჩოს თემში სოფელ უშხვანარის მშრომელი გლეხობის დახმარებით გაყვანილი ჩიყვის საწინააღმდეგო საკავშირო მაშტაბით პირველი წყალსადენი მოწმობს ზემოსვანეთის მიდამოებში ჩიყვთან ბრძოლის გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას, მხოლოდ 1934 წლისათვის კიდევ დამატებით ხუთი ახალი წყალსადენის გეგმის შედგენა ბეჩო, ცხუმარისა და მესტიას თემებისათვის იმ გარემოებას ადასტურებს და ამტკიცებს, რომ ჩიყვიანობა ახლო მომავალში ზემოსვანეთში სრულიად უნდა გაქრეს და მომავალი სვანეთი—კურორტი და მოგზაურობა-მთასვლობის მხარე თავისუფალი უნდა იქნეს ამ საშინელ სოციალური სნეულებისაგან.

აჭარისტანში კი ბრძოლა ჩიყვის წინააღმდეგ სრულიად სხვა მიმართულებით უნდა გაიშალოს. რასაკვირველია სავსებით გამოყენებული უნდა იქნეს ჩიყვიან მიდამოებში როგორც მინერალური, ისე ჩვეულებრივი, არა მინერალური კარგი წყაროები, რაც საერთოდ აჭარაში შედარებით ნაკლებია. ხულოს თემი ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებშია. მაშინ როდესაც ჩვენი მასალის მიხედვით ჩიყვის გავრცელების მხრივ უფრო გამოსახულია მერისის თემი—

38,3%, მხოლოდ ცხმორისის, სხალთის და ქედის თემები ჩიყვის 30%-ს იძლევიან, ხულოს თემში ეს დაჩიყვიანება 20,5%-ს უდრის.

ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ხულოს თემში აქა-იქ მინერალურ წყლებსა და კლდოვან წყაროებს მაინც შეხვდებით. ამისათვის უეჭველად შეძლების დაგვარად სვანეთისებურად უნდა იქნეს იქაური კარგი წყლები გამოყენებული.

მაგრამ ჩიყვთან ბრძოლა აჭარისტანში უმთავრესად და განსაკუთრებით ზღვის სანაპირო კურორტების საშვალებით უნდა იქნეს წარმოებული; მოგეხსენებათ რომ საერთოდ ზღვის სანაპირო მიდამოები გაჟღენთილია იოდით, უფრო სწორედ რომ ვსთქვით ამ მიდამოების ჰაერში მოიპოვება იოდის ნივთიერება, რომელიც მრავლადაა შიგ ზღვაში იქ არსებულ ფიკიაში— წყალმცენარეში. იოდი კი ყველამ იცის ჩიყვის საწინააღმდეგო საუკეთესო საშვალებაა; სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენ ჩიყვიან ავადმყოფებს ურჩევთ ხოლმე ზღვის პირად წასვლას, იოდოვან ატმოსფერაში; მასვე ურჩევთ უხვად ზღვის თევზის ხმარებას, რომელიც გაჟღენთილია იოდოვანი ნივთიერებით, და ამ იოდოვან ნივთიერებას თევზი საერთოდ ბლომად შეიცავს, პირდაპირ შედარებაც არ შეიძლება სხვა საკვებ მასალასთან ამ მხრივ. იოდი კი ჩიყვის საწინააღმდეგო მთავარი საშვალებაა. მას აძლევენ მარილში სხვადასხვა ქვეყნებში პროფილაქტიური მიზნით დაჩიყვიანებულ მიდამოებში და შესამჩნევ შედეგებსაც იღებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის შვეიცარიაზე.

ცხადია რომ შავი ზღვის სანაპირო კურორტები,—ამ შემთხვევაში ჩვენ ვეხებით აჭარისტანის კურორტებს, უეჭველად გამოსაყენებელია ამ მხრივ და ამდაგვარი მოსაზრებანი ჩიყვთან საბრძოლველად ფრიად მიზანშეწონილი იქნება.

მნიშვნელოვანია ამ მხრივ სვანების გადასვლა ზემოსვანეთიდან აფხაზეთის მთიან მიდამოებში, ეგრეედ წოდებულ დალში, რომელსაც დღეს დღეობით ახალ სვანეთს, აფხაზეთის სვანეთს ეძახიან.

მიწის მხრივ შევიწროებულნი ზემო სვანეთიდან სვანები გადასახლდენ 3000 სულის რაოდენობით აფხაზეთის მიდამოებში და აღნიშნული გადასახლებით მოსცილდენ რა თავის მამაპაპათა მკაცრი ბუნების მიდამოებს, ზღვის მიმართულებით ჩასვლით დაუახლოვდენ აფხაზეთის ნაზი ბუნების მიწაწყალს.

სწორედ ასეთ გარემოებამ — ზღვასთან დაახლოვების მიხედვით მათ შორის არსებული ჩყვის გავრცელება შეამცირა და აფხაზეთში დასახლებულ სვანებს შორის ჩიყვი თანდათან კლებულობს და ერთი ათეული წლის განმავლობაში მისი პროცენტი 19,5-ემდე დავარდა.

რაც შეეხება აჭარისტანის პირობებს, აქ უნდა ითქვას შემდეგი. ქვემო და ზემო აჭარა მაინცა და მაინც არც ისე ძალიან არიან დაცილებული ზღვის სანაპიროებს, მაგრამ ქედი, აჭარის ქედი ვით მძლავრი ზღუდე ამართული აჭარასა და ზღვის სანაპიროებს შორის, სავსებით სპობს ზღვის იოდოვან ჰაერისათვის მიმავალ გზებს დაჩიყვიანებულ მიდამოებისაკენ. ეს აღნიშნა პროფ. ლეისტერმაც. მაშასადამე საჭიროა სხვა გზების გამონახვა.

აჭარისტანის კურორტები: ბათომი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის ძირი, ქობულეთი და აგრეთვე მათ შორის არსებული ზღვისპირა მიდამოები გამოყენებული უნდა იქნეს ჩიყვის საწინააღმდეგოთ. მთელი ეს არე, ბათომ-ქობულეთის ზღვის პირა რკალი მაშასადამე საუკეთესო ადგილი იქნება, სადაც უნდა მოეწყოს ჩიყვის პროფილაქტორიუმები, ჩიყვის საწინაამ-

დეგო მებრძოლი წერტები. ამდაგვარ პროფილაქტორიუმებში კი დაჩიყვიანებულ ადგილებიდან, განსაკუთრებით ზემო და ქვემო აჭარიდან გადმოსროლილი უნდა იქნეს უმთავრესად ბავშები, რომელთაც ჩიყვი მის საწყის მსვლელობაში უკვე განვითარებული აქვთ. ამდაგვარი ჩიყვის პროფილაქტორიუმები აჭარისტანში დარწმუნებული უნდა ვიყოთ კარგ შედეგებს მოგვიტანს.

აჭარისტანში ზღვის სანაპირო კურორტებზე და საერთოდ მთელს მის მიდამოებში არსებული ყველა სასწავლებლები უეჭველად გამოყენებული უნდა იქნეს ამგვარივე მიზნით, რადგან ეს სასწავლებლებიც არსებობს იოდით გაჟღენთილ ჰაერიან მიდამოებში. აღნიშნულ სასწავლებლებშიც ჩამოყვანილი იქნებიან დაჩიყვიანებული ადგილებიდან ბავშები როგორც უკვე წამოწყებული ჩიყვით, აგრეთვე ჩიყვისადმი განწყობილნი, ე. ი. ისეთები, რომელთაც მშობლები ჰყავთ ჩიყვიანები, ან არა და განსაკუთრებით ძლიერ დაჩიყვიანებულ ადგილებში იმყოფებიან. ბავშების ასეთ გადმოყვანას ცხადია ექნება დროებითი ხასიათი და ამგვარი გადმოყვანა შეძლებისდაგვარად უნდა მოეწყოს და ცხადია, რომ აჭარისტანის ზღვის სანაპირო მიდამოებში და კურორტებზე არსებული სასწავლებლები თავისთავად ჩიყვის პროფილაქტორიუმის დანიშნულებას შეასრულებენ.

სასწავლებლებთან დაკავშირებით ზაფხულის ხანაში ამავე პროფილაქტიკის თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ პიონერთა ლაშქრობანი. ზღვის სანაპირო კურორტების მიდამოებში უნდა მოეწყოს უეჭველად პიონერ-ბანაკები, სადაც შეკრებილი იქნებიან ბავშები დაჩიყვიანებული მიდამოებიდან. პიონერთა ჰასაკი ხომ ჩიყვის აღმოცენების ხანაა. მაშასადამე ეს პიონერთა ბანაკებიც გადაიქცევა საუკეთესო პროფილაქტორიუმებათ ჩიყვის საწინააღმდეგოთ, ვინაიდან ასეთი ბანაკები ორი სამი თვე იმოქმედებენ და ჩიყვის აღმოცენების ლიკვიდაციას ხელს შეუწყობენ.

შესაძლებელია ამავე მიზნით მოვაწყოთ დაჩიყვიანებული ადგილებიდან მოსახლეობის გადმოყვანა ზღვის სანაპირო მიდამოებში. ეს გადმოყვანა კი უნდა მოეწყოს შემდეგ პირობებში. მოგეხსენებათ აჭარისტანის ზღვის სანაპირო მიდამოები სოციალისტური მეურნეობის საუკეთესო ნაწილად არის გამოცხადებული საბჭოთა კავშირში. საკმარისია აღვნიშნოთ ჩაის და ციტრუსოვან კულტურათა ძლიერი და ფრიად მნიშვნელოვანი განვითარება აჭარისტანში, რომ ჩვენ თვალწინ გადაიშლება ისეთი დიდი პერსპექტივა ჩვენი მოსაზრებათა განხორციელებისათვის, რომ ჩიყვის საწინააღმდეგო ბრძოლა აქაც შესაძლებელი იქნება სავსებით მოეწყოს. ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ცხადია მუშა ხელი ფრიად საჭიროა, გამოყენებული უნდა იქნეს დროებითი გადმოსახლების სახით ჩიყვისადმი განწყობილი და აგრეთვე დაჩიყვიანებულ მოსახლეობის გადმოყვანა, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ჩამოყვანა აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში. მოსახლეობასთან ერთად შეესაძლებელია საწარმოო პრაქტიკის სახით მოზრდილ მოწაფეთა ჩამოყვანაც ზემოაღნიშნულ სამუშაოებზე.

ამდაგვარია საერთოდ ჩვენი მოსაზრებანი ჩიყვთან ბრძოლის გაშლის შესახებ აჭარისტანში და სათანადო ცდების ჩატარების მიზნით დღესვე მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი ერთერთ კურორტზე აჭარისტანში ჩიყვის საწინააღმდეგოთ პირველი პროფილაქტორიუმის გახსნა, რომელიც პირველი იქნება არამც თუ აჭარისტანში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის

ზომსადარითაც. და თუ კი ეს დასახული მიზანი განვახორციელეთ, სულ ახლო მომავალში შეუდგებით უკვე ამ ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობის წამოწყებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. საქართველოში გავრცელებული დაჩიყვიანება იმდენად მნიშვნელოვანია თავისი რაოდენობით, რომ მისი რიცხვი 60,000-ს აღემატება; ამ საერთო რიცხვიდან 7,000 აჭარისტანისათვის უნდა ვივარაუდოთ, თუ დავეყრდნეთ 1927 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობას და გამოქვეყნებულ მასალებს ქვემო და ზემო აჭარიდან.

2. საქართველოში გავრცელებული ჩიყვის მიხედვით თავისი მრავალრიცხოვანობით უეჭველად ერთმანეთს ეჯიბრებიან სვანები და აჭარლები.

3. სვანებს შორის მთელი მოსახლეობის მიხედვით გვაქვს დაჩიყვიანების 29%, მხოლოდ აჭარლებს შორის 29,7%.

4. თუ ჩიყვიანობის გავრცელებას მიუდგებით ადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც დასახლებული არიან სვანები დი აჭარლები, უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ პირველ ადგილს დაჩიყვიანების მხრივ დაიპერს ქვემო სვანეთი, მეორე ადგილს ქვემო აჭარა, მესამე ადგილს ზემო აჭარა, მეოთხე ადგილს ზემოსვანეთი და მეხუთე ადგილს აფხაზეთის სვანეთი.

5. პროცენტების მიხედვით ზემოხსენებული აზრი შემდეგ ნაირად გამოიხატება:

ქვემოსვანეთი	44.7% — 5972	გამოკვლეულზე	2671
ქვემო აჭარა	32 9% — 4777	„	1508
ზემო აჭარა	25.4% — 3207	„	864
ზემო სვანეთი	22.1% — 10776	„	2362
აფხაზეთის სვანეთი	19.5% — 1856	„	363

6. როდესაც ვლაპარაკობთ ჩიყვის გავრცელების შესახებ აჭარისტანში, ჩვენ გვაქვს მხოლოდ მხედველობაში ჩვენი გამოკვლევების მიხედვით ქვემო აჭარაში ქედის, მერისის და ცხმორისის თემები, მხოლოდ ზემო აჭარაში ხულოსი და სხალთის თემები; ამ ხუთი თემიდან გამოკვლეული გვაქვს 82 სოფელი 3404 კომლით, მხოლოდ 21583 სულიდან გამოკვლეული გვყავს 7984 სული, რომელთა შორის დაჩიყვიანებული აღმოჩნდა 2372 სული, აქედან მამრობითი სქესის 913, დედრობითი სქესის 1459. მხოლოდ მათ შორის თუ გამოვყავით ბავშვები, უკანასკნელთ შორის დაჩიყვიანებულია 561. ამგვარად გამოკვლეულთ შორის დაჩიყვიანებულია მამაკაცი 616, ქალი 1195, ბიჭი 296, გოგონა 265

7. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ზემო აჭარიდან გამოუკვლეველი დაგვრჩა კიდევ ხუთი თემი — ღორჯომის, რიყეთის, ყარადერეს, უჩამფასი და ჭკანასი, არეთვე არ შევხებივართ აჭარისწყლის, ბათომისა და ქობულეთის მიდამოებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ზემოხსენებული მასალაც საკმარის საბაბს გვაძლევს ვიმსჯელოთ ჩიყვისა და ჩიყვიანობის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ აჭარისტანში.

8. საკითხი: ჩიყვთან ბრძოლა აჭარისტანში — დროულია და ეს საკითხი უეჭველად უნდა დაუკავშიროთ აჭარისტანის კურორტებს, რომლებიც პროფილაქტიური მიზნით უნდა გამოვიყენოთ ჩიყვის საწინააღმდეგოთ.

9. აჭარისტანშიც ისე, როგორც ეს უკვე ხორციელდება ზემოსვანეთში, ჩიყვთან ბრძოლის საკითხს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს; აჭარისტანის ჯანსახკომმა და საკურორტო სამართველომ პირველ რიგში უნდა გაშალონ ამ მხრივ სათანადო მუშაობა.

10. შედარებით ზემოსვანეთთან, სადაც საკითხი დაყენებულია მინერალური წყლების გამოყენების მიხედვით წყალსადენების საშვალებით მათი გადაყვანით უჩიყვო ადგილებიდან ჩიყვიან ადგილებში, აჭარისტანში ამ მხრივ ვერ მიუდგებით საკითხს, რადგან აჭარისტანში მინერალური წყაროები მარილ რკინა-იოდის შემადგენლობით, რომელიც ჩიყვის საწინააღმდეგოთაა გამოსაყენებელი, შედარებით ნაკლებ მოიპოვება.

11. აჭარისტანში ბრძოლა ჩიყვთან უნდა გაიშალოს სწორედ ზღვის სანაპირო კურორტების საშვალებით, რადგან აჭარისტანის ზღვის სანაპირო მიდამოების ჰაერი გაჟღენთილია იოდით, რომელიც მრავლადაა შიგ ზღვაში მის ნაპირებზე არსებულ წყალმცენარეებში. იოდი კი ჩიყვის საწინააღმდეგო მთავარი საშვალებაა.

12. მნიშვნელოვანია ამ მხრივ სვანების გადასახლება ზემოსვანეთიდან აფხაზეთში, სადაც ზღვასთან დაახლოების მიხედვით ჩიყვი შედარებით პროკენტულად შემცირდა.

13. აჭარისტანის კურორტები: ბათომი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის ძირი, ქობულეთი და აგრეთვე მათ შორის არსებული ზღვისპირა მიდამოები გამოყენებული უნდა იქნეს ჩიყვის საწინააღმდეგო პროფილაქტორიუმების მოწყობით, სადაც გადმოსროლილი იქნება უმთავრესად ბავშები დაჩიყვიანებულ ადგილებიდან — ქვემო და ზემო აჭარის მიდამოებიდან.

14. აღნიშნულ კურორტებზე არსებული ყველა სასწავლებლები უეჭველად გამოყენებული უნდა იქნეს ამ მიზნით, რადგან თუ კი იოდით გაჟღენთილ ჰაერიან მიდამოებში არსებულ სასწავლებელში ჩამოყვანილი იქნებიან დაჩიყვიანებული ადგილებიდან ბავშები ჩიყვისადმი განწყობილნი და უკვე წამოწყებული ჩიყვითაც, ცხადია ამგვარი სასწავლებლები თავისთავად პროფილაქტორიუმის დანიშნულებას შეასრულებენ.

15. ზაფხულობით უნდა მოეწყოს პიონერ-ბანაკები, სადაც უმთავრესად თავს მოიყრის დაჩიყვიანებული მიდამოებიდან ჩამოყვანილი ბავშები.

16. შესაძლებელია ამავე მიზნით გადმოყვანილი იქნენ დროებით სამუშაოდ მოზრდილი მოწაფეობა და მოსახლეობაც აჭარისტანში ზღვის პირად არსებულ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

17. სათანადო ცდების ჩატარების მიზნით დღესვე მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი ერთერთ კურორტზე აჭარისტანში ჩიყვის პირველი პროფილაქტორიუმის გახსნა და უახლოეს პერიოდში ამ ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობის წამოწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი **ი. ასლანიშვილის** მოხსენების „აჭარისტანის კურორტები ჩიყვთან ბრძოლაში“ მიხედვით აჭარისტანის ჯანსახკომის რესპუბლიკანურ საკურორტო პირველ კონფერენციაზე 1933 წლის 20 დეკემბერს მიღებული იყო შემდეგი რეზოლუკია:

მოისმინა რა ექიმი **ი. ასლანიშვილის** მოხსენება „აჭარისტინის კურორტები ჩიყვთან ბრძოლაში“, აჭარისტანის ჯანსახკომის რესპუბლიკანური საკურორტო პირველი კონფერენცია საჭიროდ სთვლის:

1. ჩიყვთან ბრძოლის მიზნით აჭარისტანის ერთ-ერთ სანაპირო კურორტზე მოეწყოს ჩიყვის პროფილაქტორიუმი.

2. გატარდეს ჩიყვისადმი განწყობილი და დაჩიყვიანებული ბავშების გადაყვანა ზემო და ქვემო აჭარის დაჩიყვიანებულ ადგილებიდან და ამის მიზნით მოეწყოს პიონერ-ბანაკები; გამოყენებული იქნეს ამ მიმართულებით სასწავლებლებიც.

3. აჭარისტანის ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით, სვანეთისებურად გაყვანილი იქნეს ჩიყვის საწინააღმდეგოთ ერთ პროფილაქტიური წყალსადენი, რისთვისაც გამოყენებული იქნეს ლერწამის მილები.

4. მიღებული იქნეს ზომები აჭარისტანის დარჩენილი მიდამოების გამოკვლევისათვის ჩიყვის გავრცელების მხრივ, განსაკურებული ყურადღების მიქცევით აჭარისტანის საკურორტო ზღვისპირა რაიონისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

И АСЛАНИШВИЛИ

КУРОРТЫ АДЖАРИСТАНА В БОРЬБЕ С ЗОБОМ.

(Выводы)

1. Распространение зоба в ССР Грузии настолько значительно, что количество его переваливает за 60.000; из этого общего количества 7.000 приходится на Аджаристан, судя по опубликованным материалам научной экспедиций, работавшей летом 1927 года в районах Нижней и Верхней Аджарии.

2. По распространению зоба в Грузии по количеству безусловно соревнуются между собою сваны и аджарцы.

3. Среди сванов по отношению всего населения имеем 29% зоба, среди же аджарцев 29,7%.

4. Если в отношении распространения зоба будем подходить с точки зрения месторасположения, где расселены сваны и аджарцы, необходимо отметить то обстоятельство, что на первое место по распространению зоба выйдет Нижняя Сванетия, на второе место Нижняя Аджария, на третье место Верхняя Аджария, на четвертое — Верхняя Сванетия и на пятое Абхазская Сванетия.

5. Вышеозначенное положение в процентах можно выразить следующим образом:

Нижняя Сванетия	на	5972	обследованных	дает	2671	зобатых	44,7%
Нижняя Аджария	на	4777	„ „	„	1508	„	32,9%
Верхняя Аджария	на	3207	„ „	„	864	„	25,4%
Верхняя Сванетия	на	10776	„ „	„	2362	„	22,1%
Абхазская Сванетия	на	1856	„ „	„	363	„	19,5%

6. Когда говорим о распространении зоба в Аджаристане, мы имеем в виду на основании своих исследовании в Нижней Аджарии районы Кеды, Мериси и Цхмориси, а в Верхней Аджарии Хуло и Схалту. Из означенных пяти районов нами обследовано 82 деревни с 3404 дымов, где из 21583 душ обследовано 7984, среди которых у 2372 обнаружен зоб; отсюда мужчин 913, женщин 1459. Но если среди них выделить детей, то среди последних зобатых оказалось 561. Таким образом среди обследованных зобатых аджарцев мужчин 616, женщин 1195, мальчиков 296, девочек 265.

7. Если иметь в виду что в Верхней Аджарии осталось еще пять необследованных районов—Горжоми, Рикеты, Карадере, Учампа и Чвана, а также совершенно не касались мы районов Аджарисхали, Батума и Кобулет, но несмотря на это вышеприведенный материал все же дает нам право обсуждать вопрос о борьбе с зобом и зобатостью в Аджаристане.

8. Вопрос о борьбе с зобом в Аджаристане вполне своевременен и вопрос этот необходимо увязать с Аджаристанскими Курортами, которые нужно использовать с профилактической целью по борьбе с зобом.

9. В Аджаристане также, как это сейчас осуществляется в Верхней Сванетии, вопросу по борьбе с зобом неоходимо уделить главное внимание; Наркомздрав и Курупр Аджаристана в первую очередь должны развернуть работу в этом направлении.

10. По сравнению с Верхней Сванетией, где вопрос по использованию минеральных источников при посредстве водопроводов переводом вод из незобатых местностей в зобатые местности практически нами уже поставлен, в Аджаристане не можем таким же образом разрешить этот вопрос, ибо там отсутствуют источники, содержащие соли с примесью железа и иода, источники, которых можно было бы использовать по борьбе с зобом.

11. В Аджаристане борьба с зобом должна развернуться при посредстве приморских курортов Аджаристана, ибо в приморском районе Аджаристана мы имеем атмосферу, насыщенную иодом, который в большом количестве содержится в морских водорослях. Иод же является наилучшим средством против зоба. Тут же можно применить питание морской рыбой, содержащая в большом количестве иод.

12. Большое значение имеет в этом отношении переселение сванов из Верхней Сванетии в Абхазию, где в связи с приближением к морю зоб сравнительно идет на убыль.

13. Курорты Аджаристана: Батум, Махинджаури, Зеленый мыс, Цихисдзири, Кобулеты, а также меж ними существующая приморская полоса должны быть использованы по борьбе с зобом устройством зобных профилакториев, куда главным образом должны быть сосредоточены дети из зобатых местностей—из районов Нижней и Верхней Аджарии.

14. Существующие все учебные заведения на вышеозначенных курортах обязательно должны быть использованы в этом направлении, ибо если в районы, где воздух насыщен иодом, направить предрасположенных к зобу и уже с начинающими зобами детей из зобатых районов, то само собою разумеется означенные учебные заведения будут выполнять роль зобных профилакториев.

15. В летние месяцы должны быть организованы пионер-лагери, куда главным образом будут направлены дети из зобатых местностей.

16. Вполне возможно с этой же целью перевести временно и взрослых учащихся, а также часть населения горных районов в приморские районы, там в существующие колхозы и совхозы.

17. С целью проведения специальных опытов необходимо признать сегодня же целесеобразным открытие порвого зобного профилактория на одном из курортов Аджаристана и в ближайшем будущем уже приступить к этому имеющему весьма большое значение начинанию.

К 37/4 943

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ახლანიშვილის სხვა შრომები.

1. ესპანური სენი. გაზ. „ხალხის მეგობარი“ №№ 293, 294. 1918. ქუთაისი.

2. ინფლუენცასთან საწინააღმდეგო მუშაობა ერობის საპატიო რაზმში. გაზ. „ხალხის მეგობარი“ №№ 340, 348, 372. 1918, ქუთაისი.

3. ადამიანის სხეული და ფიზიკური ვარჯიშობანი. ჟურ. „შევარდენი“ № 1. 1920 ქუთაისი.

4. სამეცნიერო ექსპერიმენტული კონტროლი ტანვარჯიშობაზე. ჟურ. „შევარდენი“ № 1. 1922. ტფილისი.

5. ენდემიური ჩიყვი საქართველოში. „თანამედროვე მედიცინა“ № 1—2. 1924. ტფილისი.

6. მთის სნეულება. „თანამედროვე მედიცინა“ № 4. 1924. ტფილისი.

7. ჩიყვი სვანეთში. პროფ. ა. მაჭავარიანის წინასიტყვით. 1926. ტფილისი.

8. Зоб в Сванетии. С предисловием проф. А. Г. Мачавариани. 1926. Тифлис.

9. სამეცნიერო ექსპედიცია სვანეთში. პროფ. ალ. ჯავახიშვილის წინასიტყვით. 1926. ტფილისი.

10. აჭარისტანის ჯ. ს. კ. სამკურნალო-სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობა 1927 წლის ზაფხულში ქვემო და ზემო აჭარაში ჩიყვის, ჩიყვიანობისა და ქირურგიული ტუბერკულოზის შესასწავლად. „თანამედროვე მედიცინა“ № 5—12. 1928. ტფილისი.

11. ჩიყვის ახალი კერები საქართველოში. „თანამედროვე მედიცინა“ № 2. 1929. ტფილისი.

12. ჩიყვი აჭარაში. „საქართველოს ექიმთა მეხუთე კონგრესის შრომები“ წ. 5, 1929. ტფილისი.

13. სამეცნიერო-ქირურგიული ექსპედიციის მუშაობა მთის რაჭაში. „კომუნისტი“ XI. 1929. ტფილისი.

14. ექიმის მუშაობა ტურიზმისა და ალპინიზმის დარგში. 1933. ტფილისი.

15. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის მიმოხილვა. 1933. ტფილისი.

16. ტურიზმი კურორტ შამშვილის მიდამოებში. „კურორტოლოგიის ინსტიტუტის შრომები“ № 15. 1934. ტფილისი.

17. ზემო სვანეთის მინერალური წყაროები. „ენდოკრინოლოგიის საკითხები“ № 1. 1934. მესტია—ზემო სვანეთი.

18. Эндемический зоб в ССР Грузии. „Протоколы XXII Всесоюзного с'езда хирургов“. 1934. Москва.

19. წარმოებაში ჩიყვის გამოკვლევის პირველი ცდა. „საბჭოთა ენდოკრინოლოგია“, № 1. 1935. ტფილისი.

K 37. 943
4